3.14. “მეიჯარე” “ქირის” ინვოისს, ისევე როგორც ინვოისს “მომსახურების გადასახადზე” იმ კალენდარული თვისათვის, როდესაც დადგა გასვლის თარიღი, გასცემს არაუადრეს 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე “გასვლის თარიღამდე” აღნიშნულ თვეში დღეების ფაქტობრივი რაოდენობის პროპორციულად, ხოლო კომუნალური გადასახადებისათვის ინვოისს - არაუგვიანეს “გასვლის თარიღიდან” ერთ თვეში ამასთან, „წინამდებარე ხელშეკრულების“ მიზნებისათვის გასვლის თარიღი გულისხმობს შემდეგ თარიღს: „წინამდებარე ხელშეკრულების“ ნებისმიერი საფუძვლით შეწყვეტის და/ან მისი მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, „მოიჯარე“ „საიჯარო ქონებას“ დაცლის და დაუბრუნებს „მეიჯარეს“ „წინამდებარე ხელშეკრულების“ შესაბამისად შეწყვეტის და/ან მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში - **„გასვლის თარიღი“**, იმის გათვალისწინებით, რომ შეწყვეტის და/ან მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში „მოიჯარე“ „მეიჯარეს“ შეატყობინებს ზუსტ „გასვლის თარიღს“.	**3.14.** The Lessor shall issue the Rent invoice, as well as invoice for the Service Charge due for the calendar month in which the Move-Out Date occurred not earlier than 5 (five) business days prior to the Move-out Date pro-rata according to the actual number of days in the month in question, however, the invoice for the Premises Costs shall be issued no later than in a month from the Move-Out Date Moreover, for the purposes of this Agreement the Move-Out Date shall have the following meaning: in case of termination under any reason and/or expiration of this Agreement, the Lessee shall vacate the Leased Property and return it to the Lessor in accordance with this Agreement no later than 30 (thirty) calendar days from the termination and/or expiration date - **„Move-out Date“**, provided that the Lessee will notify the Lessor the exact Move-out Date no later than 5 (five) business days from the termination and/or expiration date.
3.15. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, „მოიჯარე“ ვალდებულია „ქირის“, “მომსახურების გადასახადის”, “კომუნალური გადასახადისა” და „წინამდებარე ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა საზღაურის გადახდა განახორციელოს, თუ ცალსახად არ არის	**3.15.** For the avoidance of doubts, the Lessee is obliged to execute the payment of the Rent, the Service Charge, the Premises Costs and of any other fees hereunder, unless expressly provided for otherwise, by the calculation for the period up to Move-out Date.

კეთებული სხვაგვარი დათქმა, „გასვლის თარიღამდე“ პერიოდზე დაანგარიშებით.	
3.16. “მოიჯარის” მიერ “მეიჯარისათვის” “წინამდებარე ხელშეკრულების” შესაბამისად განსახორციელებელი ყველა გადახდა არ მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს (შემდგომში "**დღგ**"), და გადასახდელი თანხები გაიზრდება დღგ-ის შესაბამისი ოდენობით. ითვლება, რომ მითითება დღგ-ზე მოიცავს დღგ-ის ნებისმიერ შესწორებულ ვერსიას ან/და ნებისმიერ გადასახადს, რომელიც ცვლის ან ჩაანაცვლებს დღგ-ს.	**3.16.** All payments due to be made by the Lessee to the Lessor under the terms of this Agreement are exclusive of the Value Added Tax (the “**VAT**”), and the sums due shall be increased by the amount of the appropriate VAT. References to the VAT shall be deemed to include any revised version of the VAT, and/or any tax which replaces or supplements the VAT.
3.17. „მოიჯარე“ „მეიჯარეს“ „წინამდებარე ხელშეკრულების“ გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში წარუდგენს საიჯარო დეპოზიტს ან საბანკო გარანტიას, „მოიჯარის“ გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც სრულად უზრუნველყოფს „მოიჯარის“ ვალდებულებებს „წინამდებარე ხელშეკრულების“ შესაბამისად (შემდგომში "**უზრუნველყოფა**"). „იჯარის ვადის“ განმავლობაში სრულად „უზრუნველყოფა“ იქნება აშშ დოლარში განსაზღვრული იმ თანხის ოდენობის ტოლი, რომელიც შეადგენს 3 (სამი) თვის „ქირას“ დამატებული 3 (სამი) თვის „მომსახურების გადასახადი“ ორივე გაზრდილი დღგ-ის შესაბამისი ოდენობებით (შემდგომში "**უზრუნველყოფის ოდენობა**").	**3.17.** The Lessee shall provide the Lessor within 30 (thirty) calendar days from the execution of this Agreement either a rental deposit or a bank guarantee, the choice of which shall be at the Lessee’s discretion, securing all of the Lessee’s obligations under this Agreement (the “**Security**”). The Security shall throughout the whole Term be equivalent to amount indicated in the USD which shall constitute 3 (three) month Rent and 3 (three) Service Charge both increased by the relevant amount of the VAT (the “**Security Amount**”).
3.18. თუ “იჯარის ვადის” განმავლობაში ნებისმიერ დროს ან შეწყვეტის თარიღის შემდეგ “მოიჯარე” არ განახორციელებს რაიმე გადახდას, სახელშეკრულებო ჯარიმის ან “წინამდებარე ხელშეკრულების” შესაბამისად გადასახდელი ნებისმიერი სხვა თანხის ჩათვლით, “მეიჯარე” უფლებამოსილია, უპირობოდ აღასრულოს ამგვარი “უზრუნველყოფა”. “მოიჯარის” მიერ “მეიჯარისათვის” გადასახდელი ყველა თანხა გამოიქვითება ამგვარი “უზრუნველყოფის ოდენობიდან”. “მეიჯარისათვის” გადასახდელი თანხები, რომლებიც გამოხატულია ლარში, გამოითვლება აშშ დოლარში იმ გაცვლითი კურსით, რომელიც დადგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვითვის განხორციელების თარიღზე.	**3.18.** If at any time during the Term or after the termination date the Lessee does not make any payment which is due, including in particular the payment of the contractual penalty or any other amount due under the terms of this Agreement, the Lessor may unconditionally call upon such Security. All sums due to the Lessor by the Lessee will be set off against such Security Amount. The sums due to the Lessor expressed in GEL will be calculated as a USD amount according to the rate of exchange determined by the NBG on the date when such set-off was done.

3.19. თუ "მეიჯარე" ნებისმიერ დროს აღასრულებს "უზრუნველყოფას", "მოიჯარე" 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში აღადგენს "უზრუნველყოფას" მის იმ დროისთვის განსაზღვრულ სრულ ოდენობამდე.	3.19. If at any time the Lessor calls upon the Security, the Lessee shall reinstate the Security to its full value at that time within 5 (five) Business Days.
3.20. "წინამდებარე ხელშეკრულების" შესაბამისად "მეიჯარისათვის" გადასახდელი ყველა თანხის გადახდის შემდეგ "მეიჯარე" (i) "წინამდებარე ხელშეკრულების" მოქმედების დასრულების თარიღიდან ე.ი. „იჯარის ვადის" ბოლო კალენდარულ დღიდან ან (ii) „საიჯარო ქონების" დაბრუნებიდან, რომელი თარიღიც უფრო გვიან დადგება, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში დაუბრუნებს „მოიჯარეს" „უზრუნველყოფის ოდენობის" დარჩენილ თანხას.	3.20. After the payment of all amounts due to the Lessor under this Agreement, the Lessor shall within 30 (thirty) calendar days following the later of (i) the expiration date of this Agreement i.e. the last calendar day of the Term or (ii) the return of the Leased Property, return to the Lessee the remainder of the Security Amount.
3.21. თუ "მოიჯარე" აირჩევს უზრუნველყოფის წარდგენას საბანკო გარანტიის ფორმით, ამგვარი გარანტია უნდა იყოს შეუქცევადი, უპირობო და გადახდადი "იჯარის ვადის" შესაბამის პერიოდში განსაზღვრული ოდენობით პირველი წერილობითი მოთხოვნისთანავე.	3.21. In the event the Lessee chooses to provide the Security by way of a bank guarantee, such guarantee shall be irrevocable, unconditional and payable at the first written demand for an amount specified for the respective period of the Term.
3.22. საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს "მეიჯარისათვის" მისაღები და კარგი რეპუტაციის მქონე ქართული ბანკის მიერ და ძალაში უნდა იყოს გაცემის თარიღიდან, "იჯარის ვადის" განმავლობაში სრულად და 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მას შემდეგ. თუ "მოიჯარე" წარმოადგენს საბანკო გარანტიას, რომლის ვადა ნაკლებია ზემოთ მითითებულ პერიოდზე, მოიჯარე ვალდებულია, „მეიჯარისგან" დამატებითი შეტყობინების მიღების გარეშე, წარმოადგინოს ახალი საბანკო გარანტია (ან არსებული საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელება) არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული თვით ადრე წინა საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე. თუ „მოიჯარე" არ წარმოადგენს ახალ საბანკო გარანტიას, „მეიჯარე" უფლებამოსილია, გამოიხმოს საბანკო გარანტიის სრული თანხა და მისგან ამონაგები თანხა დააკავოს, როგორც ფულადი უზრუნველყოფა. „მხარეები" თანხმდებიან, რომ „მეიჯარეს" არ ეკისრება ვალდებულება, ხოლო „მოიჯარე" არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს აღნიშნულ ამონაგებ თანხაზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა.	3.22. The bank guarantee shall be issued by a reputable Georgian bank, accepted by the Lessor and valid from the date of its issuance, for the entire Term and 90 (ninety) calendar days thereafter. In the event the Lessee presents a bank guarantee valid for a period shorter than the term as described above, then the Lessee shall be obliged, without additional notice from the Lessor, to deliver a new bank guarantee (or an extension to the existing one) not later than 2 (two) calendar months before the expiry of the previous one. Should the Lessee fail to deliver a new bank guarantee, the Lessor shall be authorized to draw the full amount of the guarantee and hold the proceeds thereof as a cash security. The Parties hereby agree, that the Lessor is not obliged, and the Lessee may not request, to accrue the interest on these proceeds.

3.23. თუ "მოიჯარე" აირჩევს უზრუნველყოფის წარდგენას საიჯარო დეპოზიტის ფორმით, ამგვარი დეპოზიტი გადაირიცხება "მეიჯარის" ანგარიშზე, რომელსაც იგი წერილობით აცნობებს "მოიჯარეს", უზრუნველყოფის ოდენობის ტოლფასი ოდენობით და იგი გადაიხდება აშშ დოლარში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით. აღნიშნულ საიჯარო დეპოზიტის თანხას არ დაერიცხება საპროცენტო სარგებელი.	3.23. In the event the Lessee chooses to provide the Security by way of a rental deposit, such deposit shall be transferred to the Lessor's account notified to the Lessee in writing in the amount equal to the Security Amount and payable in USD, subject to the requirements of the laws of Georgia. No interest shall be accrued on this rental deposit.
4. ქვეიჯარა, ჩანაცვლება	4. SUBLEASE, SUBSTITUTION
4.1. „მოიჯარეს" არ აქვს „საიჯარო ქონების" ქვეიჯარის უფლება „მეიჯარის" წინასწარი, წერილობითი თანხმობის გარეშე. „მოიჯარის" მიერ ამ პირობის დარღვევა „მეიჯარეს" ანიჭებს „მოიჯარის" დაჯარიმების უფლებას თითოეულ ამგვარ შემთხვევაზე 3 (სამი) თვის „ქირისა" და „მომსახურების გადასახადის" ([3] აშშ დოლარი) ოდენობით. აღნიშნული ჯარიმის გარდა, „მეიჯარეს" შეუძლია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს „წინამდებარე ხელშეკრულება", თუკი „მოიჯარე" არ გააუქმებს ქვეიჯარის შეთანხმებას და არ უზრუნველყოფს „საიჯარო ქონების" ქვემოიჯარეთაგან გათავისუფლებას „მეიჯარის" მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. წინამდებარე აკრძალვა არ ვრცელდება „მოიჯარეზე" იმ შემთხვევაში, თუ „საიჯარო ქონების" ქვეიჯარით გაცემა ხდება „მოიჯარის" აფილირებულ პირზე (რომელსაც წარმოადგენს ნებისმიერი კომპანია, სადაც „მოიჯარე" ფლობს წილს ან კომპანია რომელიც ფლობს „მოიჯარის" წილს, ან რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს „მოიჯარეს" ან/და „მოიჯარის"/მისი პარტნიორის და/ან მენეჯმენტის კონტროლის ქვეშ არის), იმ პირობით, რომ ქვეიჯარით გაიცემა „საიჯარო ქონება" მხოლოდ ოფისის ფუნქციონირებისათვის და არანაირი სხვა გამოყენების მიზნით.	4.1. The Lessee is not entitled to sublease the Leased Property without Lessor's prior written approval. Should the Lessee do so, the Lessor shall be entitled to impose a penalty of 3 (three) month Rent and the Service Charge (USD [3]) per each case of breach. In addition to the above penalty, the Lessor shall be entitled to terminate this Agreement on immediate basis should the Lessee fail to terminate the sub-lease arrangement and ensure that the Leased Property is vacated by the subtenant(s) within 10 (ten) working days following the Lessor's request. The foregoing does not apply to subleasing the Leased property to the Lessee's affiliated parties (affiliate being any company, in which the Lessee has an ownership interest, or which has the ownership interest in the Lessee, or which directly or indirectly controls or is controlled by the Lessee and/or its shareholders and/or its management), provided that Leased Property may be subleased only for the purposes of office e.i. of functioning of the office and for no other purposes of use.
ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა/გაუქმება, „მოიჯარე" ვალდებულია უზრუნველყოს ქვეიჯარის ხელშეკრულებ(ებ)ის შესაბამისი დაუყოვნებივი შეწყვეტა/გაუქმება.	For the avoidance of any doubt, in case this Agreement is terminated, the Lessee is obliged to terminate sublease agreement(s) respectively immediately.

4.2. „წინამდებარე ხელშეკრულების“ დარღვევით გაცემული ნებისმიერი ქვეიჯარა არის ბათილი.	4.2. Any sublease made in violation of the rule above shall be void.
4.3. თუკი „მეიჯარე“ გაყიდის, გადასცემს ან სხვაგვარად გაასხვისებს „საიჯარო ქონებას“, ახალი მფლობელი ანაცვლებს „მეიჯარეს“ „წინამდებარე ხელშეკრულებაში“ და მას ენიჭება აქედან გამომდინარე ყველა უფლება და ეკისრება ყველა მოვალეობა.	4.3. Should the Lessor sell, transfer or otherwise alienate the Leased Property, the new owner shall substitute the Lessor in this agreement and assume all relevant rights and responsibilities.
4.4. „მეიჯარის“ მიერ მოწონებული „ქვეიჯარა“ არ შეამცირებს „მოიჯარის“ „წინამდებარე ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ვალდებულებებს. „მოიჯარეს“ არ შეუძლია განახორციელოს რეკლამირება „საიჯარო ქონების“ რომელიმე ნაწილის ქვეიჯარით გაცემასთან დაკავშირებით.	4.4. Any approved sublease by the Lessor shall not reduce any of the obligations of the Lessee under this Agreement. The Lessee shall not advertise for the sublease of any portion of the Leased Property.
5. „მხარეთა“ უფლებები და მოვალეობები	5. RIGHTS AND OBLIGATIONS OF THE PARTIES
იმ პირობით, რომ “მოიჯარე” იხდის ყველა გადასახდელ თანხას და ასრულებს თავის ვალდებულებებს “წინამდებარე ხელშეკრულების” შესაბამისად	Provided that the Lessee is paying all sums due and is complying with all of its obligations under this Agreement
5.1. „მეიჯარე“ ვალდებულია, რომ:	5.1. Lessor is obliged to:
5.1.1. უზრუნველყოს “მოიჯარის” მიერ “საიჯარო ქონების” გამოყენება რაიმე შეფერხების გარეშე “წინამდებარე ხელშეკრულების” შესაბამისად;	5.1.1. to ensure the Lessee has the undisturbed use of the Leased Property in accordance with this Agreement;
5.1.2. განახორციელოს, მიაწოდოს, გადაიხადოს, მართოს და ოპერირება გაუწიოს მომსახურებებს, როგორც განსაზღვრულია მე-4 დანართში. “მეიჯარე” არ არის პასუხისმგებელი (დელიქტის ან სახელშეკრულებო ვალდებულების საფუძველზე) მომსახურებების არასათანადო მიწოდებაზე, შეფერხებაზე ან გაჭიანურებაზე, იმგვარი შეფერხების ან გაჭიანურების გარდა, რომელიც აღმოფხვრადია “მეიჯარის” მიერ და “მეიჯარე” არ უზრუნველყოფს მათ აღმოფხვრას გონივრულ ვადაში;	5.1.2. carry out, provide, pay, manage and operate the services as defined in Appendix 4. The Lessor shall not be liable (either on the grounds of tortious or contractual liability) for improper delivery, interruptions or delays in connection with the services except if such interruptions or delays are capable of remedy by the Lessor and the Lessor fails to remedy them within a reasonable period of time;
5.1.3. სრულად და ჯეროვნად შეასრულოს „წინამდებარე ხელშეკრულების“ მოთხოვნები;	5.1.3. Fully and duly perform requirements under this Agreement;
5.1.4. სათანადო წესის დაცვით მოაწეროს ხელი „წვდომის თარიღზე გაფორმებად ოქმსა“ და „გადაცემის ოქმს“.	5.1.4. Duly sign the Protocol to be Executed on Access Date and the Hand-over Protocol.

Alexander Mironenko Jose Bhandari

5.2. "წინამდებარე ხელშეკრულებით" განსაზღვრული ვალდებულებების გარდა, „მოიჯარე" ვალდებულია, რომ:	5.2. In addition to the Lessee's responsibilities provided for in this Agreement, **Lessee is obliged to:**
5.2.1. მოუაროს „საიჯარო ქონებას" და გამოიჩინოს სათანადო მზრუნველობა. (ამ მიზნისთვის, სათანადო მზრუნველობა გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ყოველდღიური აღდგენითი ღონისძიებებით, ზიანისა თუ განადგურებისაგან „საიჯარო ქონების" შენარჩუნებისა და დაცვის და ა.შ.);	5.2.1. Safeguard the Leased Property and ensure its due care. (for the purposes hereof, due care includes, but is not limited to performing day-to-day renovations, maintenance and protection of Leased Property from damage and destruction, etc.);
5.2.2. დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და სტანდარტები „სარემონტო სამუშაოების" წარმოებისას და შემდგომ. უზრუნველყოს "მოიჯარის სარემონტო სამუშაოების" შესრულება, "წინამდებარე ხელშეკრულების" მე-2 დანართით დამტკიცებული პროექტის შესაბამისად;	5.2.2. observe sanitary-hygiene norms and standards during the Fit-out Works and thereafter. To perform the Lesee's Fit-out Works in accordance with project specified under Appendix 2 to this Agreement;
5.2.3. დაუყოვნებლივ, შეტყობისთანავე აცნობოს „მეიჯარეს" რაიმე ფარული ნაკლის არსებობის ან მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის „საიჯარო ქონებას" და მიიღოს ყველა გონივრული და აუცილებელი ზომა "საიჯარო ქონების" დაზიანების ხარისხის შესამცირებლად;	5.2.3. immediately inform the Lessor when becoming aware of any hidden defect of the Leased Property or of potential danger, that threatens the Leased Property and to take all reasonable actions necessary in order to reduce the level of damage to the Leased Property;
5.2.4. აანაზღაუროს მისი ბრალეული ქმედებით და/ან ვალდებულებათა არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ნებისმიერი ზიანი/ზარალი სრულად;	5.2.4. compensate in full all damages, resulting from own fault and/or undue performance of own obligations;
5.2.5. წერილობით აცნობოს „მეიჯარეს" განზრახული სარეკონსტრუქციო ან მსგავსი შედეგის მქონე სამუშაოების შესახებ და გაწიოს ასეთი სამუშაოები მხოლოდ „მეიჯარის" თანხმობით. ამ პირობის დარღვევით შესრულებული ნებისმიერი ქმედება მიიჩნევა „საიჯარო ქონების" ღირებულების შესამცირებელ ან საფრთხის შემცველ განზრახ ქმედებად;	5.2.5. notify the Lessor in writing regarding any intended renovation or other action of similar effect and implement the latter only with the Lessor's consent thereto. Any action made in breach of this clause shall be treated as wilful reduction of value of the Leased Property or as a threat thereof;
5.2.6. გადაიხადოს "ქირა", "მომსახურების გადასახადი", "კომუნალური გადასახადი" და დღგ და განახორციელოს სხვა გადახდები "წინამდებარე ხელშეკრულების" შესაბამისად სათანადო თარიღებზე და "წინამდებარე ხელშეკრულებაში" განსაზღვრული ფორმით, რაიმე გამოკლების ან	5.2.6. pay the Rent, the Service Charge, the Premises Costs and the VAT and other payments under this Agreement, on the due dates and in the way specified in this Agreement, without any deductions or set off. This however should not be interpreted in any way, restricting or limiting authority

ამოქვითვის გარეშე. წინამდებარე არ უნდა იქნეს განმარტებული როგორც „მოიჯარის“ შეზღუდვა ან აკრძალვა „მეიჯარის“ წინააღმდეგ მოთხოვნის წაყენებასთან დაკავშირებით, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოგვიანებით;	of the Lessee to present its claims against the Lessor at a later stage;
5.2.7. მხოლოდ „მეიჯარის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის შემდეგ გამოაჩინოს, ასახოს ან განათავსოს რაიმე ნიშანი, აფიშა ან სხვა სარეკლამო აბრა, დაარიგოს ბროშურები ან სხვა სარეკლამო საშუალებები, დაამონტაჟოს ისეთი მოწყობილობა და/ან წარწერა, რომელიც დაკავშირებულია მის ბიზნესთან. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება მხოლოდ „საიჯარო ქონების“ შიდა ტერიტორიაზე, რაც ვიზუალურად არ იქნება გარედან ხილვადი;	5.2.7. only upon prior written agreement with the Lessor, display, paint or place any notices, stickers or other advertising materials or distribute any leaflets or other advertising devices or install such equipment and/or wiring that is related to its business. This restriction does not apply within the inner territory of the Leased Property, which shall not be visual from outside;
5.2.8. სათანადო წესის დაცვით მოაწეროს ხელი „წვდომის თარიღზე გაფორმებად ოქმსა“ და „გადაცემის ოქმს“;	5.2.8. duly sign the Protocol to be Executed on Access Date and the Hand-over Protocol;
5.2.9. დაეხმაროს „მეიჯარეს“ და ითანამშრომლოს მასთან „საიჯარო ქონების“ ყველა დათვალიერების და „მოიჯარის“ „წინამდებარე ხელშეკრულებასთან“ შესაბამისობის შემოწმების დროს;	5.2.9. assist the Lessor and cooperate with the latter in all inspections of the Leased Property and in monitoring of Lessee's compliance with the obligations under this Agreement;
5.2.10. “მოიჯარის სარემონტო სამუშაოების” წარმოების სრულ პერიოდზე მოიპოვოს კონტრაქტორის ყველა რისკის დაზღვევა (Contractors' All Risk (CAR) Insurance). „წვდომის თარიღამდე“ არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღით ადრე, „მოიჯარე“ „მეიჯარეს“ მიაწვდის იმის მტკიცებულებას, რომ ამგვარი დაზღვევა ძალაშია შესაბამისი სრული ვადით ე.ი. „მოიჯარის სარემონტო სამუშაოების“ დასრულების თარიღამდე, ამგვარი სადაზღვევო პრემიის გადახდის მტკიცებულებასთან ერთად, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ სადაზღვევო პრემია გადახდილ იქნება სრულად დაზღვევის მთელ ვადაზე;	5.2.10. maintain the Contractors' All Risk (CAR) Insurance throughout the whole period of conduction of the Lessee's Fit-out Works. No later than 15 (fifteen) days prior to the Access Date, the Lessee shall furnish to the Lessor proof that such insurance will be in place for the respective whole period i.e. up to the date of the completion of the Lessee's Fit-out Works, together with proof of payment of the premium for such insurance, provided that the insurance premium will be paid in full amount for the whole insurance period;
5.2.11. „მეიჯარეს“ გადაუხადოს „საიჯარო ქონებისათვის“ საჭირო სადაზღვევო შესატანი და/ან დააზღვიოს თავად „საიჯარო ქონება“ „მეიჯარისათვის“ მისაღებ, მაღალი ავტორიტეტის მქონე სადაზღვევო კომპანიაში. დაზღვევის პირობები წინასწარ შეთანხმებული უნდა იყოს „მეიჯარესთან“. დაზღვევის პოლისში	5.2.11. pay the Lessor the insurance premiums required for insuring the Leased Property and/or insure the Leased Property with own means with the conditions and at the highly reputable insurance company acceptable to the Lessor. Terms of insurance shall be pre-agreed with the Lessor. Beneficiary of the insurance along with the Lessee shall be Lessor;

ენეფიციარად „მოიჯარესთან“ ერთად განსაზღვრულ უნდა იყოს „მეიჯარე“;	
5.2.12. საკუთარი ხარჯით და საკუთარი უსაფრთხოებისათვის მოიპოვოს ყველა სახის რისკის მომცველი დაზღვევა, რომელიც, მათ შორის, მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგი რისკებით: ხანძარი, წყალდიდობა, ქურდობა და სხვა რისკები. ამგვარი დაზღვევა დაფარავს „მოიჯარის“ ყველა ქონებას/პირად ნივთებს, თანამშრომელთა ქონებას/პირად ნივთებს, მესამე პირების ქონებასა/პირად ნივთებს და „საიჯარო ქონებაში“ დამონტაჟებულ მოწყობილობებს, „მოიჯარის“ კუთვნილ ძირითად საშუალებებს, მარაგებს, ინვენტარსა და ნებისმიერი სხვა ქონებას და ეს დაზღვევა უნდა შეიცავდეს მითითებას „მეიჯარეზე“, როგორც დამატებით დაზღვეულ პირზე. „მეიჯარე“ არ არის პასუხისმგებელი რაიმე დანაკარგზე, ზიანზე ან ხარჯზე, რომელიც წინამდებარის შესაბამისად დაფარული უნდა იყოს „მოიჯარის“ ქონების დაზღვევით. თუ ნებისმიერი მოთხოვნა შეამცირებს დაფარვის ლიმიტს, “მოიჯარე” მიიღებს ყველა შესაძლო ზომას აღნიშნული ლიმიტის თავდაპირველ ოდენობამდე აღსადგენად;	5.2.12. maintain, at its own cost, for its own security all risks cover including, but not limited to: fire, flood, theft and other perils. Such insurance shall cover all the Lessee's belongings in the Leased Property, employee's belongings in the Leased Property, third parties' belongings in the Leased Property and installations in the Leased Property, fixed assets, stocks, inventory or any other property owned by the Lessee and this insurance shall name the Lessor as additional insured. The Lessor shall not be liable for any loss, damage or expenditure, which according to the foregoing, should be covered by the Lessee's property insurance. After any claim that reduces the limits of coverage, the Lessee shall take all necessary action to replenish such limits to the initial amount;
5.2.13. იჯარის მთელ პერიოდზე გააჩნდეს მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა ლიმიტებით: თითოეულ შემთხვევაზე / ჯამურ ზიანზე არანაკლებ 200 000 (ორასი ათასი) ლარი. ამგვარი დაზღვევა არ უნდა შეიცავდეს რაიმე გამონაკლისს “მოიჯარის” პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით საკუთარი თანამშრომლების წინაშე. პოლისი ასევე უნდა ფარავდეს პასუხისმგებლობის დაზღვევას “მოიჯარის” მიერ “წინამდებარე ხელშეკრულების“ შესაბამისად დაკავებულ ქონებაში/შენობაში მიყენებული ზიანისათვის;	5.2.13. For the whole period of the lease obtain TPL insurance with coverage limits: 200 000 GEL (two hundred thousand) per occurrence / aggregate. Such insurance shall not include any exclusions regarding the liability of the Lessee towards its employees. The policy shall also cover the liability insurance for damages in the property/buildings occupied by the Lessee under this Agreement;
5.2.14. წარუდგინოს „მეიჯარეს“ სადაზღვევო პოლისი, რომელიც მოწმობს მის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებთან შესაბამისობას, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ამგვარი მოთხოვნის „მეიჯარის“ მიერ წარდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;	5.2.14. Provide Lessor with a copy of the certificate of insurance evidencing the requested insurance coverage up on written request no later than 5 (five) business days from the provision of the respective request by the Lessor;

Alexander Mirzoyan Jose Dshanbuck

...მასთან, "დაწყების თარიღამდე" „მოიჯარე" ვალდებულია წინამდებარე ხელშკრულებით გათვალისწინებული კონტრაქტორის ყველა რისკის დაზღვევისა (Contractors' All Risk (CAR) Insurance) და მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე სადაზღვევო ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება უზრუნველყოს „მეიჯარისთვის" მისაღები სადაზღვევო კომპანიის მიერ, „მეიჯარისთვის" მისაღები ფორმით და მხოლოდ შესაბამისი სადაზღვევო პოლისების პირობების „მეიჯარის" მიერ წინასწარი დადასტურების საფუძველზე, იმ პირობით, რომ აღნიშნული სადაზღვევო პროდუქტების ბენეფიციარად "მოიჯარესთან" ერთად განსაზღვრული იქნება „მეიჯარე" და მასვე გადაეცემა შესაბამისი სადაზღვევო პოლისების ასლები. ამასთან, „მეიჯარის" მხრიდან სადაზღვევო პოლისების პირობები დადასტურებული იქნება, თუ ისინი სრულად პასუხობს „წინამდებარე ხელშეკრულებით" გათვალისწინებულ მოთხოვნებს. თუ „მოიჯარე" 10 (ათი) სამუშაო დღეზე მეტი ვადით აჭიანურებს იმ მტკიცებულების წარდგენას, რომ „მოიჯარის" აღნიშნული დაზღვევის ხელშეკრულებები დადებულია და რომ სადაზღვევო პრემია გადახდილია სრულად, „მეიჯარე" უფლებამოსილია, დადოს ამგვარი სადაზღვევო ხელშეკრულება იმ პირობებით, როგორსაც საჭიროდ მიიჩნევს „მეიჯარე". „მეიჯარის" მიერ სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში მომდევნო თვის დღგ-ის ანგარიშფაქტურაში „ქირასთან" ერთად ასევე ჩაერთვება „მეიჯარის" მიერ გადახდილი ამგვარი სადაზღვევო პოლისების ღირებულება.	Moreover, up to the Commencement Date the Lessee is obliged to assure the signing and/or prolongation of the respective insurance agreements of the Contractors' All Risk (CAR) Insurance and TPL insurance as specified under this Agreement only upon the receipt of the prior approval by the Lessor of the terms and condition of the mentioned insurance policies, such insurance to be issued by the insurance company and in the form acceptable to the Lessor, provided that the beneficiary for such insurances will be the Lessor along with the Lessee, to whom will be delivered the copies of the respective insurance policies. Additionally, the Lessor will approve the terms and conditions of the insurance policies if they fully meet the requirements specified under this Agreement. If the Lessee is in delay for more than 10 (ten) business days in evidencing that the Lessee's mentioned insurance agreements have been concluded and that the premium has been paid in full, the Lessor is entitled to conclude such an insurance agreement on the terms and conditions as per the Lessor's decision. In case of concluding an insurance agreement by the Lessor, the costs of such insurance policies shall be included in the following month VAT invoice, together with the Rent.
5.2.15. „საიჯარო ქონებასა" და მიმდებარე ტერიტორიაზე (ტერასის გამოკლებით) აკრძალოს მოწევა („ცენტრის" საერთო გამოყენების სივრცეები);	5.2.15. restrict smoking in the Leased Property (excluding the terrace) and adjacent territory (common use areas of the Centre);
5.2.16. „მოიჯარე" არ გამოიყენებს „საიჯარო ქონებას" რაიმე სხვა მიზნით, გარდა „წინამდებარე ხელშეკრულებით" გათვალისწინებული „ნებადართული სარგებლობისა"; მხოლოდ „მეიჯარის" წინასწარი წერილობითი თანხმობის შემდეგ შეცვალოს „საიჯარო ქონების" "ნებადართული სარგებლობა";	5.2.16. not use the Leased Property for any purpose other than the Permitted Use as specified hereunder; only upon prior written consent of the Lessor change the Permitted Use of the Leased Property;

Alexander Mikoveliu Jose Dhrembuk

5.2.17. დაასრულოს „სარემონტო სამუშაოები“ 1.12 პუნქტში მითითებულ ვადაში;	5.2.17. complete the Fit-out Works within the term specified in clause 1.12 above;
5.2.18. სრულად დაიცვას და შეასრულოს ყველა პირობა და მოთხოვნა, რომელიც გათვალისწინებულია “წინამდებარე ხელშეკრულების” მე-2 დანართით;	5.2.18. comply in full and to meet all conditions and requirements, which are specified in the Appendix 2 to this Agreement;
5.2.19. “სარემონტო სამუშაოების” წარმოებისას არ გამოიწვიოს სიმშვიდის დარღვევა ან უსიამოვნება (ხმაურით, მტვერით, ვიბრაციით ან სხვაგვარად), რომელიც ხელშს უშლის „ცენტრის“ შესაბამისი ტერიტორიის, მათ შორის, პარკინგის, ნორმალურ ფუნქციონირებას;	5.2.19. cause neither inconvenience nor disturbance (whether by noise, dust, vibration or otherwise) hindering the normal functioning of the respective territory of the Center, including the parking area;
5.2.20. მიიღებს წინასწარ წერილობით თანხმობას „მეიჯარისგან“, რომლის ნამდვილობისათვის აუცილებელია წერილობითი ფორმა, სამშენებლო მასალებზე წვდომისა და მათი „საიჯარო ქონებაში“ მიტანისათვის. აღნიშნული წინასწარი თანხმობა არ მოითხოვება, თუ ამგვარ შემთხვევაში, „მოიჯარე“ ისარგებლებს მხოლოდ ცენტრალური (სერვისის) შესასვლელით (სულხან საბას ქუჩის მხრიდან).	5.2.20. obtain the prior written approval of the Lessor, given in writing to be valid, for the access and delivery of construction materials. Described prior approval is not required in case, the Lessee in such sircumstances exploits only the central (service) entrance (from the Sulkhan-saba street).
5.3. „მეიჯარეს“ უფლება აქვს:	5.3. The Lessor has the right to:
5.3.1. დაათვალიეროს და შეამოწმოს „სარემონტო სამუშაოების“ მიმდინარეობა, „საიჯარო ქონების“ მდგომარეობა და „მოიჯარის“ ქმედებების „წინამდებარე ხელშეკრულების“ პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობა ჩვეულებრივი სამუშაო საათების განმავლობაში, წერილობითი შეტყობინებით როგორც ეს გათვალისწინებულია 5.3.5 პუნქტში;	5.3.1. inspect and monitor the progress of Fit-out Works, condition of the Leased Property and Lessee’s compliance with the terms and conditions and requirements hereunder during regular business hours after reasonable notice as provided for under clause 5.3.5.;
5.3.2. განახორციელოს „საიჯარო ქონების“ ღირებულების შესანარჩუნებლად საჭირო ყველა სამუშაო და ამის შესახებ წინასწარ აცნობოს „მოიჯარეს“, ამ უკანასკნელის ხარჯით;	5.3.2. carry out all works necessary for retaining the value of the Leased Property and inform the Lessee thereon in advance; The costs are covered by the Lessor;
5.3.3. „მოიჯარის“ გაფრთხილების შემდეგ დაათვალიერებინოს „საიჯარო ქონება“ პოტენციურ მოიჯარეს და/ან მყიდველს;	5.3.3. upon notifying the Lessee, demonstrate the Leased Property to potential lessee or purchaser;
5.3.4. უფლება, შევიდეს „საიჯარო ქონებაში“ ჩვეულებრივ სამუშაო საათებში, 5.3.5 პუნქტით დადგენილი წერილობითი შეტყობინების დაცვით, რათა:	5.3.4. the right to enter in the Leased Property during regular business hours after reasonable notice as provided under clause 5.3.5. in order to:

i. შეამოწმოს "საიჯარო ქონების" ან "ცენტრის" ნებისმიერი სხვა ნაწილის მდგომარეობა და გააკეთოს ჩანაწერები;	i. inspect and record the condition of the Leased Property or any other parts of the Center;
ii. აღმოფხვრას "მოიჯარის" მიერ "წინამდებარე ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების დარღვევა;	ii. remedy any breach of the Lessee's obligations under this Agreement;
iii. გაარემონტოს, ტექნიკური მომსახურება გაუწიოს, გაწმინდოს, გადააკეთოს, გამოცვალოს, დაამონტაჟოს, დაამატოს ან შეაერთოს ნებისმიერი არხი, მილი, მრიცხველი ან სხვა დამონტაჟებული მოწყობილობა, რომელიც ემსახურება „ცენტრს";	iii. repair, maintain, clean, alter, replace, install, add to or connect up to any conduits, pipes, meters or other installations which serve the Center;
iv. „საიჯარო ქონების" ფასადზე (გარე პერიმეტრზე) დაამონტაჟოს ნებისმიერი პროგრამული უზრუნველყოფა, სისტემა, მექანიზმი ან მოწყობილობა (უსაფრთხოების კამერების, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების და ა.შ. ჩათვლით), რომელიც საშუალებას მისცემს "მეიჯარეს", მართოს "ცენტრი" და განახორციელოს აუცილებელი სამუშაოები მის ტექნიკურ უზრუნველყოფასთან ან შეკეთებასთან დაკავშირებით; ამასთან, აღნიშნული უფლებამოსილება არ ვრცელდება „საიჯარო ქონების" შიდა ტერიტორიაზე.	iv. install any software, system, mechanism or device (including security cameras, fire-fighting systems, etc.), which allows the Lessor to manage the Center and to carry out the necessary works for its maintenance or reparation on the façade (on the outer perimeter); Wherein, this authority does not apply to the inner territory of the Leased Property.
v. წაიკითხოს მრიცხველები, თუ ისინი "საიჯარო ქონებაშია";	v. read the meters if they are in the Leased Property;
5.3.5 "მეიჯარის" მიერ შესვლის ყველა უფლების განხორციელება მოიცავს "მეიჯარის" მიერ უფლებამოსილ ნებისმიერ პირს, თანამშრომლების, ამზომველებისა და კონტრაქტორების ჩათვლით. ყველა ამგვარი უფლება, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევების გარდა, საჭიროებს გონივრული წერილობითი შეტყობინების მიწოდებას სულ მცირე 24 საათით ადრე.	5.3.5 All the rights of entry exercisable by the Lessor extend to include any person authorized by the Lessor including its employees, surveyors and contractors. All such rights, except in the case of emergency, are subject to the provision of reasonable prior written notice of at least 24 hours;
5.4. „მოიჯარეს" უფლება აქვს:	**5.4. The Lessee has the right to:**
5.4.1. უწყვეტად ისარგებლოს „საიჯარო ქონებით" „წინამდებარე ხელშეკრულების" პირობების შესაბამისად, "იჯარის ვადის" განმავლობაში;	5.4.1. continuously utilize the Leased Property for own benefit throughout the Term of this Agreement and in compliance thereof;
5.4.2. ისარგებლოს როგორც „წინამდებარე ხელშეკრულებით" მინიჭებული სხვა უფლებებით, ისე გამოსაყენებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული უპირატესობებით.	5.4.2. make use of other rights herein envisaged, as well as those provided for by applicable legislation.

6. ხელშეკრულებისა და მისი პირობების ძალაში შესვლა	6. ENTRY INTO FORCE OF THE AGREEMENT AND ITS TERM
6.1. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „წინამდებარე ხელშეკრულება“ სავალდებულო ძალას იძენს „მხარეთა“ მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.	6.1. The Parties hereby agree that this Agreement assumes legal force upon its signature by the Parties.
6.2. „წინამდებარე ხელშეკრულება“ გაფორმდება სანოტარო წესით და დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. „მხარეები“ მიიღებენ ნებისმიერ და ყველა გონივრულ ზომას, რათა უზრუნველყონ „წინამდებარე ხელშეკრულების“ სათანადო და დროული რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. აღნიშნული მიზნით, „მხარეები“ მოითხოვენ, მოიპოვებენ, გასცემენ, ხელს მოაწერენ და მიაწვდიან ნებისმიერ და ყველა ინფორმაციას, განაცხადს, მოწმობას, ნახაზს, დამატებით შეთანხმებებს ან ნებისმიერ და ყველა სხვა დოკუმენტს, რომელიც შესაძლოა აუცილებელი იყოს „წინამდებარე ხელშეკრულების“ წარმატებით დასარეგისტრირებლად საჯარო რეესტრში.	6.2. This Agreement shall be notarized and registered in the Public Registry in accordance with the applicable laws of Georgia. The Parties shall take any and all reasonable measures to ensure the due and timely registration of this Agreement in the Public Registry. For this purpose, the Parties shall apply for, obtain, issue, sign and deliver any and all information, applications, certificates, drawings, supplementary agreements or any and all other documents as needed for the successful completion of the registration of this Agreement in the Public Registry.
6.3. „წინამდებარე ხელშეკრულების“ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით შეწყვეტის შემთხვევაში, „მეიჯარე“ უფლებამოსილია, ცალმხრივად მიმართოს საჯარო რეესტრს და მოითხოვოს იჯარის რეგისტრაციის გაუქმება. „მოიჯარე“ წინამდებარით უფლებამოსილებას ანიჭებს „მეიჯარეს“, მიმართოს მისი სახელით საჯარო რეესტრს ზემოთ მითითებული მიზნით და „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „წინამდებარე ხელშეკრულება“ წარმოადგენს „მხარეების“ ერთობლივ მიმართვას (განაცხადს) საჯარო რეესტრისადმი და „მეიჯარეს“ არ მოეთხოვება რაიმე სხვა შეთანხმება, განაცხადი ან სხვა იურიდიული დოკუმენტი იჯარის რეგისტრაციის გასაუქმებლად. ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასარიდებლად, „წინამდებარე ხელშეკრულება“ დაერთვება „მეიჯარის“ შესაბამის განაცხადს და იგი მიიჩნევა „მხარეთა“ ერთობლივ განცხადებად.	6.3. In case of termination of this Agreement under the terms and conditions of this Agreement, the Lessor shall have the right to unilaterally apply to the Public Registry and demand the de-registration of this Agreement. The Lessee hereby authorizes the Lessor to apply to the Public registry for the above purpose on its behalf and the Parties agree that this Agreement shall constitute mutual application of the Parties to the Public Registry and no other agreement, application or other instrument shall be required from the Lessor to de-register this Agreement. For the avoidance of doubts, this Agreement shall be attached to the respective application of the Lessor and be treated as the mutual application of the Parties.
მხარეები დამატებით თანხმდებიან, რომ ზემოაღწერილი უფლებით „მეიჯარე“ უფლებამოსილია ისარგებლოს იმ შემთხვევაში, თუ	The Parties hereby additionally agree that the Lessor is authorized to apply the abovedescribed right in case the Lessee does not fulfill its obligation upon mutual application

„მეიჯარისგან“ შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) დღის ვადაში „მოიჯარის“ მიერ არ იქნება შესრულებული ვალდებულება „წინამდებარე ხელშეკრულების“ შეწყვეტის შემთხვევაში იჯარის რეგისტრაციის გაუქმების მიზნით საჯარო რეესტრისადმი ერთობლივად მიმართვის თაობაზე.	to the public registry for the purposes of the de-registration of the Lease in the event of termination of this Agreement, within the term of 10 (ten) days from the respective written request from the Lessor.
6.4. “იჯარის ვადის“ გახანგრძლივება მხოლოდ „მხარეთა“ ორმხრივი შეთანხმებით არის შესაძლებელი. ვადის გახანგრძლივების შეთანხმება მიღწეულ უნდა იქნეს, ხოლო გახანგრძლივების პირობებზე მოლაპარაკება დასრულდეს „წინამდებარე ხელშეკრულების“ ვადის ამოწურვამდე 3 (სამი) კალენდარული თვით ადრე. სხვა შემთხვევაში „წინამდებარე ხელშეკრულება“ ძალას კარგავს, და „მოიჯარე ვალდებულია დაუბრუნოს „მეიჯარეს“ ქონება, იმ მდგომარეობაში, რომელშიც მიიღო და როგორც დაფიქსირებულია „გადაცემის ოქმში“ (ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით) ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.	6.4. The Term of this Agreement can only be extended upon mutual agreement of Parties. The Agreement on extension should be reached not later than three calendar months prior to the expiry date, whereas the negotiations on terms of extension should be finalized before the expiry. Otherwise, this Agreement shall be deemed expired and the Lessee shall be under an obligation to handback the property to the Lessor in the same condition as it was received and documented in the Hand-over Protocol (in consideration of natural wear and tear) not later than 5 (five) business days after the expiry
7. შეწყვეტა	7. TERMINATION
7.1. „წინამდებარე ხელშეკრულება“ შეიძლება შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში შესაბამისი მხარის შემდეგი პასუხისმგებლობების გათვალისწინებთ:	7.1. Agreement may be terminated in the following events under following liabilities of the respective Party:
7.1.1. „იჯარის ვადის“ გასვლის შედეგად წინამდებარე ხელშეკრულების” მოქმედების დასრულების თარიღიდან ე.ი. „იჯარის ვადის“ ბოლო კალენდარულ დღიდან. ამასთან, ვადის გასვლისას თითოეულ „მხარეს“ უფლება აქვს მიმართოს საჯარო რეესტრს „წინამდებარე ხელშეკრულების“ რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით.	7.1.1. Expiry of the Term- from the expiration date of this Agreement i.e. the last calendar day of the Term. Therefore, each Party is entitled to address the Public Registry with the request of deregistration of this Agreement upon its expiry;
7.1.2. „საიჯარო ქონების“ განადგურების ან იმ ხარისხით დაზიანებისას, რაც არსებითად უშლის ხელს მის მიზნობრივ გამოყენებას და არ წარმოადგენს „მხარეთა“ ქმედებების ან/და ბრალეულობის შედეგს;	7.1.2. Destruction of the Leased Property or its damage to such extent, that essentially restricts its purposeful utilization and which was not due to actions of Parties and/or fault;
7.1.3. „მხარეთა“ წერილობითი ფორმით ურთიერთშეთანხმების შედეგად;	7.1.3. Mutual agreement of Parties, made in writing;

7.1.4. „იჯარის ვადის“ 6 (ექვსი) წლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ: თითოეული მხარის მიერ წინასწარ 12 (თორმეტი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებისა და 3 (სამი) თვის „ქირის“ ოდენობის ჯარიმის გადახდის საფუძველზე. ყოველგვარი ეჭვის გაქარწყლების მიზნით, „მხარეები“ აქვე თანხმდებიან, რომ შეტყობინების პერიოდი არ ათავისუფლებს მათ „წინამდებარე ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან, „მოიჯარის“ მიერ „ქირის“, „მომსახურების გადასახადის“, „კომუნალური გადასახადების“ გადახდისა და სხვა ვალდებულებების ჩათვლით. ასეთ შემთხვევაში, “წინამდებარე ხელშკრულების” ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის მხარეს დამატებით ეკისრება ჯარიმის სახით 3 (სამი) თვის „საიჯარო ქირის“ გადახდის ვალდებულება, რომელიც უნდა შესრულდეს ვადაზე ადრე შეწყვეტის შესაბამის თარიღამდე. დამატებით, „მოიჯარე“ ვალდებულია დაცალოს, გაათავისუფლოს და „მეიჯარეს“ დაუბრუნოს „საიჯარო ქონება“ შეტყობინების მითითებული პერიოდის გასვლის შემდეგ „გადაცემის ოქმში“ აღწერილ იდენტურ მდგომარეობაში (ნორმალური ცვეთის მხედველობაში მიღებით).	**7.1.4.** After elapse of the 6 (six) years of the Term: upon 12 (twelve) month prior written notice by either of the Parties. For avoidance of any doubt, the Parties hereby agree that mentioned notification period does not relieve the Parties from their obligations hereunder, including, inter alia, the Lessee's obligation to pay Rent, Service Charge, Premises Costs. In this case, the Party additionally undertakes to pay 3 (three) month Rent as a penalty for early termination, which is to be fullfilled before the respective date of early termination. In addition, The Lessee shall be obliged to empty, vacate and handback the Leased Property to the Lessor upon the expiry of the mentioned notification period in a condition identical to that described in the Hand-over Protocol (in consideration of natural wear and tear).
7.1.5 „იჯარის ვადის“ 3 წლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ: „მოიჯარის“ მიერ წინასწარ 6 (ექვსი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ყოველგვარი ეჭვის გაქარწყლების მიზნით, „მხარეები“ აქვე თანხმდებიან, რომ შეტყობინების პერიოდი არ ათავისუფლებს მათ „წინამდებარე ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან, „მოიჯარის“ მიერ „ქირის“, „მომსახურების გადასახადის“, „კომუნალური გადასახადების“ გადახდისა და სხვა ვალდებულებების ჩათვლით. ასეთ შემთხვევაში, “წინამდებარე ხელშკრულების” ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის „მოიჯარეს“ დამატებით ეკისრება ჯარიმის სახით 6 (ექვსი) თვის „საიჯარო ქირის“ გადახდის ვალდებულება, რომელიც უნდა შესრულდეს ვადაზე ადრე შეწყვეტის შესაბამის თარიღამდე. დამატებით, „მოიჯარე“ ვალდებულია დაცალოს, გაათავისუფლოს და „მეიჯარეს“ დაუბრუნოს „საიჯარო ქონება“ შეტყობინების მითითებული პერიოდის გასვლის შემდეგ „გადაცემის ოქმში“	**7.1.5** After elapse of the 3 years of the Term: by the Lessee upon 6 (six) month prior written notice. For avoidance of any doubt, the Parties hereby agree that mentioned notification period does not relieve the Parties from their obligations hereunder, including, inter alia, the Lessee's obligation to pay Rent, Service Charge, Premises Costs. In this case, the Lessee additionally undertakes to pay 6 (six) month Rent as a penalty for early termination, which is to be fulfilled before the respective date of early termination. In addition, The Lessee shall be obliged to empty, vacate and handback the Leased Property to the Lessor upon the expiry of the mentioned notification period in a condition identical to that described in the Hand-over Protocol (in consideration of natural wear and tear).

Alexander Mirzayants

აღწერილ იდენტურ მდგომარეობაში (ნორმალური ცვეთის მხედველობაში მიღებით).	
ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, „მოიჯარის“ მიერ „წინამდებარე ხელშეკრულების“ „იჯარის ვადის“ 6 წლიანი პერიოდის გასვლამდე შეწყვეტის შემთხვევაში, „მოიჯარე“ დამატებით ვალდებულია „მეიჯარეს“ დაუბრუნოს “საიჯარო ქონება” იმ მდგომარეობაში, რომელშიც მიიღო და როგორც დაფიქსირებულია „გადაცემის ოქმში“ (ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით); ამ შემთხვევაში, „მოიჯარე“ უფლებამოსილია „საიჯარო ქონებიდან“ წაიღოს მხოლოდ „მოიჯარის“ კუთვნილი მოძრავი ქონება. ამასთან, „მოიჯარე“ სათანადო და პროფესიონალურ დონეზე გაარემონტებს და აღადგენს ნებისმიერ ზიანს, რომელიც მიადგა „საიჯარო ქონებას“ „მოიჯარის“ მოძრავი ქონების ამგვარი გატანის შედეგად (ამგვარი ზიანის შემთხვევაში). ამასთან, „მეიჯარე“ არ აუნაზღაურებს „მოიჯარეს“ „საიჯარო ქონებაში“ განხორციელებული „მოიჯარის სარემონტო სამუშაოების“ ღირებულებას. ამგვარად, „მოიჯარე“ ვალდებულია „საიჯარო ქონებაში“ დატოვოს ყველა სახის უძრავი გაუმჯობესებები, რაც მათ შორის, შეზღუდვების გარეშე, მოიცავს გათბობა-გაგრილების დანადგარებს (ფენკოილებს) და ასევე, „მეიჯარის ინვესტიციის“ ფარგლებში შეძენილ ნებისმიერ საქონელსა და მომსახურებას.	For the avoidance of any doubt, the Parties hereby agree, that in any case of early termineation of this Agreement by the Lessee before expiration of the 6 (six) years of the Term, the Lessee is additionally obliged to deliver in a condition identical to that described in the Hand-over Protocol (in consideration of natural wear and tear). The Lessee shall be entitled to remove from the Leased Property only the movables belonging to the Lessee. Additioanlly, the Lessee shall repair and restore in a good and workmanlike manner any damage to the Leased Property caused by such removal of the Lessee's property (in case of such damage). The Lessor shall not reimburse the Lessee for any of the Lessee's Fit-Out Works conducted in the Leased Property. Thus, the Lessee is obliged to leave in the Leased Property all immovable improvements, including, but not limited to, heating and cooling equipments (fancoils) and also, any goods and/or services purchased within the Lessor's Investment.
7.2. „მეიჯარეს“ უფლება აქვს საკუთარი დისკრეციით, ცალმხრივად შეწყვიტოს „წინამდებარე ხელშეკრულება“ „მოიჯარისთვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით ქვემოთ მოცემული პირობების დაცვით, იმ შემთხვევაში, თუკი „მოიჯარე“:	7.2. The Lessor has the right to, unilaterally, upon own discretion, by the way of sending written notification under the terms hereunder, terminate this Agreement in the event the Lessee:
7.2.1. დააზიანებს „საიჯარო ქონებას“ ან, განზრახ თუ უხეში გაუფრთხილებლობით, სხვაგვარად შეამცირებს მის ღირებულებას, ან „საიჯარო ქონებაში“ „მეიჯარის“ თანხმობის გარეშე შეიტანს რაიმე ცვლილებას, იმის გათვალისწინებით, რომ „მეიჯარე“ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე „მოიჯარეს“ განუსაზღვრავს დამატებით 5 (ხუთი) სამუშაო დღიან ვადას დარღვევის გამომსასწორებლად;	7.2.1. damages the Leased Property or otherwise decreases its value, whether wilfully or due to gross misconduct, or makes any changes to the Leased Property without the Lessor's consent and subject to serving additional 5 (five) business days' term to cure the breach after receiving a written notice from the Lessor;

7.2.2. არღვევს „საიჯარო ქონებით“ სარგებლობის „ნებადართული სარგებლობის“ პირობებს ან მიატოვებს ან გაათავისუფლებს “უძრავ ქონებას“, იმის გათვალისწინებით, რომ „მეიჯარე“ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე „მოიჯარეს“ განუსაზღვრავს დამატებით 5 (ხუთი) სამუშაო დღიან ვადას დარღვევის გამომსასწორებლად;	7.2.2. is in breach of operating the Leased Property under the terms of the Permitted Use or has abandoned or vacated the Leased Property and subject to serving additional 5 (five) business days' term to cure the breach after receiving a written notice from the Lessor;
7.2.3. 10 (ათი) კალენდარული დღით გადააცილებს „ქირის“, „მომსახურების გადასახადის“ და/ან „კომუნალური გადასახადების“ გადახდის ვადას. შეწყვეტის შესახებ შეტყობინება უნდა შეიცავდეს 20 (ოცი) დღიან საბოლოო დამატებით ვადას, რათა „მოიჯარემ“ შეძლოს დაგვიანებული გადასახადების დაფარვა;	7.2.3. has a delay in payment of the Rent, Service Charges, Premises Costs for the period of 10 (ten) calendar days. The termination notice shall provide a final additional term of 20 (twenty) days for the Lessee to settle its overdue payments;
7.2.4. „მოიჯარე“ არ იხდის, არ აკორექტირებს ან თავდაპირველ მდგომარეობაში არ აღადგენს „უზრუნველყოფას“ „წინამდებარე ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ „მეიჯარე“ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე „მოიჯარეს“ განუსაზღვრავს დამატებით 10 (ათი) სამუშაო დღიან ვადას დარღვევის გამომსასწორებლად, მხოლოდ იმ პირობით, რომ მოცემული დამატებითი ვადის განმავლობაში არ ამოიწურება საბანკო გარანტიის ფორმით წარმოდგენილი უზრუნველყოფის მოქმედების ვადა;	7.2.4. the Lessee fails to pay, adjust or reinstate the Security under the terms and conditions provided under this Agreement and subject to serving additional 10 (ten) business days' term to cure the breachafter receiving a written notice from the Lessor; provided that within this additional period the Security in the form of Bank Guarantee will not expire;
7.2.5. “წინამდებარე ხელშეკრულებაში“ „მოიჯარის“ მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება და/ან გარანტია არის არსებითად მცდარი და/ან ცრუ;	7.2.5. Any of the Lessee's representation and/or warranty given hereunder turns out to be materially false and/or misleading;
7.2.6. ვერ უზრუნველყოფს „სამუშაოების“ დასრულებას 1.12 პუნქტში დადგენილი ვადიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში;	7.2.6. fails to complete the Works within the period of 6 (six) months from the term specified under clause 1.12;
7.2.7. დაარღვევს „საიჯარო ქონებასთან“ დაკავშირებულ მოთხოვნის დათმობისა და/ან ქვეიჯარის, „ნებადართული სარგებლობის“ შეცვლის და/ან გადაკეთების შეზღუდვებს, იმის გათვალისწინებით, რომ „მეიჯარე“ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე „მოიჯარეს“ განუსაზღვრავს დამატებით 10 (ათი) სამუშაო დღიან ვადას ამ უკანასკნელი დარღვევის გამომსასწორებლად;	7.2.7. breaches the restrictions for assignment and/or subletting, alterations and/or change of the Permitted Use of the Leased Property and subject to serving additional 10 (ten) business days' term to cure the latter breach after receiving a written notice from the Lessor;

